„თვითმმართველობა უყოყოყი ტაძაღია საქართველოს ყოველგვარის საქმეთა. საკა ენდა ვალთა ვალთა, ეგი ყველგვარ ყოფთს... ყოველი საქალაქოში, რომელსაც ტაძარი ალაგია თუ ზეციერად ვალმეფეთა, ხალხი-ხალხად ანის ვალაკოფილი, ერთმ მოვალა ვალ ანგარიშთა აღებული იყოს.“

ხობის მოამბე

№5 (7130) 19 აპრილი,
ორშაბათი, 2021 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

9 აპრილის მემორიალთან...

9 აპრილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღეა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა ვარაზ გაბედავამ და მახარე ჩოკორაიამ ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, 1989 წლის 9 აპრილს სამშობლოს ერთიანობისთვის თავდადებულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

ანსამბლი „კოლხეთი“ და მოსწავლეთა ცენტრის ბავშვები ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით წარდგნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე.

ხობის წმინდა სამების სახელობის ტაძრის მოძღვარმა კირიონ დარასელიამ სამშობლოს ერთიანობისათვის დაღუპულთა სულების მოსახსენიელებელი ლოცვა აღავლინა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის ხსოვნას და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნათია ბაშალეიშვილის სახელობის წყარო ყვავილებით შეამკეს.

,,ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“



–სადაური ხარ?

–საქართველოდან!

–ენა?

–ქართული!

ასე უპასუხებს ამ კითხვებს ნებისმიერი ქართველი დიდი სიამაყით. ამ კითხვას პასუხობდნენ, გარეთ, ტყვეთა ბანაკში და შინ, იავნანას მომღერალი დედები, რომლებიც სულ მუდამ ერთს ჩასჩიჩინებდნენ პატარებს „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენით“.

–ქართველი!

–ქართული!

ამიტომაც არის, უძვირფასეს საუნჯეს, დედა ენას, საუკუნეების მანძილზე, რომ უმღეროდა ქართველი კაცი. რამდენი სიტყვა თქმულა მის გადასარჩენად, რამდენი ბედი და უბედობა, სიხარული და მწუხარება, სიყვარული და სიძულვილი გამოუცდია ქართველ კაცს მის გამო.

1977 წელს კი მისი გაქრობა განიზრახეს კონსტიტუციიდან. სტატუსის შეცვლის მცდელობის საპასუხოდ, 1978 წლის 14 აპრილს, საპროტესტო აქციები დაიწყო (მომიტინგეთა რაოდენობა 20 000 იყო).

...გადაურჩა ენა ასიმილაციას, ქართული ენა სახელმწიფო ენად დარჩა.

...დღეს კი დამოუკიდებელ საქართველოში, ყოველი 14 აპრილი ქართული ენის, დედაენის დღეა. იმ დედაენისა, რომელსაც ქართველმა ხალხმა ძეგლი დაუდგა. ძეგლის აღმართვის იდეა დიდ ქართველს–ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის, იდეას კი ხორცი ელგუჯა ამაშუკელმა შეასხა.

გრანიტის ფილებიდან ამოფრენილ ბიჭუნას ხელები ზეცისკენ აუწვდია, მშობლიურ ენაზე მიღებულმა ცოდნამ გახადა ლაღი, თამამი, გაბედული.

ეს ბიჭუნა კი შეიძლება იყო შენ, მკითხველო, მე, და ყველა ის ადამიანი, ვინც ნესტანობს, თინათინობს, ტარიელობს. ვისაც გვახსოვს, რომ ქართველი ვართ, ვისაც ახსოვს 1978 წლის 14 აპრილი, დღევანდელი დღე და ვინც ამაყად ამბობს:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა,
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.“

თეა ბერაია,
სკოლა „არეას“ პედაგოგი

ახალგაზრდობის საგენტომ ხობის მუნიციპალიტეტთან მემორანდუმი გააფორმა

ახალგაზრდობის საგენტომ, „მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის“ რეფორმო მიმართულების ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტში შეხვედრა გაიმართა. ადგილზე ახალგაზრდობის საგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

შეხვედრას საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

ხობი 30 მუნიციპალიტეტთაგან ერთ–ერთია, რომელშიც საგენტომ „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის რეფორმა დაიწყო და მიზნად ისახავს, ადგილზე ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის შექმნას. რეფორმის ფარგლებში, საგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობით ადგილზე „ახალგაზრდების გამოწვევების, საჭიროებების, რესურსებისა და ინტერესების“ კვლევა ჩატარდება, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდოლოგიით. აღნიშნულ კვლევას დაეფუძნება, ადგილზე ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა.

„მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის“ ორგანიზაციული გაძლიერების უზრუნველსაყოფად, საგენტო პროგრამის მონაწილე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელ ორ თანამშრომელს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ონლაინ პლატფორმაში ჩართავს, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეები მიიღებენ „ახალგაზრდობის კოორდინატორის“ სერტიფიკატს.

აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათი პოტენციალის სრულად რეალიზებას.

სამძიმარი



80 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე, ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი.

ქართული ხალხური მუსიკისა და მეგრული სასიმღერო ფოლკლორის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ხობის საპატიო მოქალაქე–ANZHOR ERQOMAIOSVILI.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონ ანზორის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტში კოვიდ-19-ის მხრივ არის მატების ტენდენცია. 2021 წლის მარტის თვეში დარეგისტირირებული იყო სულ 59 შემთხვევა, ხოლო აპრილის 18 დღეში უკვე კოვიდ-19 129 ადამიანს დაუდასტურდა.

საჯიჯაოში დაფიქსირდა 31 შემთხვევა, ახალ ხიბულაში–11, შუა ხორგაში–17, ნოჯიხევში–12, ხამისქურში–10, ხეთაში–4, ქ. ხობში–8, პ/მაისში–11. დანარჩენ სოფლებში კი არის დაინფიცირების შემთხვევების მატების ტენდენცია. ამის მიზეზი ბევრია, მათ შორის, მ/წლის მარტის ბოლოში უკვე მეორედ მოხდა ეპიდაფეთქება ქ. ფოთის „აჭარატექსილის“ სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც 2400 მუშა-მოსამსახურე მუშაობს, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ „აჭარატექსილში“ მომუშავე 12 პირს დაუდასტურდა კოვიდ-ინფექცია. მეორე მიზეზი მატებისა არის ის, რომ შეზღუდვების მოხსნამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში მოადუნა ყურადღება, არ იცავდნენ რეგულაციებს, თვითიზოლაციის წესებს, ასევე დარეგისტრირებულია კოვიდ-19-ის ბრიტანული შტამის შემთხვევები, რომელბიც უფრო ადვილად და სწრაფად ვრცელდება.

ისმება კითხვა: რით და როგორ, რა საშუალებებით უნდა მოხდეს კოვიდ-19 გავრცელების შემცირება?

კოვიდ-19 პრევენციისა და შემცირებისთვის ყველა ადამიანმა მკაცრად უნდა დაიცვას დაწესებული რეგულაციები, განსაკუთრებით პირბადის ტარება, დისტანციის დაცვა, ხელების ხშირი დაბანა და დამუშავება სპირტის შემცველი ხსნარებით, არ გავმართოთ ხალხმრავალი ქორწილები, წვეულებები და ქელეხები, მოვერიდოთ მასობრივი თავშეყრის ადგილებს.

რეგულაციებთან ერთად მთავრი და აუცილებელია ვაქცინაცია კოვიდ-19-ის წინააღმდეგ.

საქართველოში შემოტანილი ვაქცინები არის ჯანმრთელლობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, სერტიფიცირებული და ავტორიზებული, უნდა ვენდოთ მოწოდებულ ვაქცინებს.

ვაქცინაცია ტარდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული ეტაპების მიხედვით, პირველ რიგში ამ ეტაპზე იცრებიან სამედიცინო პერსონალი, 55 წლის ზემოთ მოქალაქეები და ქრონიკული ავადმყოფები.

ვაქცინაციის ჩასატარებლად დაინტერესებული პირი რეგისტრირდება შესაბამის პორტალზე ან რეკავს 2215-ზე ცხელ ხაზზე, ვაქცინაციის მსურველი პირი თვითონ ირჩევს სამედიცინო დაწესებულებას და მისთვის სასურველ ვაქცინას.

გარდა ამისა, შექმნილია ინტერნეტსივრცეში ახალი პორტალი, სადაც ნებისმიერი ასაკის მოქალაქეს, შეუძლია დარეგისტრირდეს და დააფიქსიროს, რომელი ვაქცინით სურს აცრა, რაც ჯანდაცვის სამინისტროს მისცემს საშუალებას კარგად დაგეგმოს ვაქცინაციის პროცესი. შეიქმნება მონაცემთა ბაზა, რომელ ვაქცინაზე იქნება მოთხოვნა, რამდენ მოქალაქეს აქვს სურვილი ვაქცინაციის.

ბოლო დროს ვაქცინაციის კუთხითაც დადებითი დინამიკაა. სულ უფრო მეტი მოქალაქე მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს ვაქცინაციისთვის.

როგორც წინა სტატიებში აღვნიშნავდი, ამჟამადაც სრული დატვირთვით მიმდინარეობს ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმოება-დაწესებულებების თანამშრომელთა ტესტირება ყოველ 14 დღეში ერთხელ. საქართველოს მთავრობის №975 დადგენილების შესაბამისად, ასევე ვიკვლევთ თვითდინებით ჯანდაცვის ცენტრში მოსულ ნებისმიერ ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს, როგორც წესი, მარტივი ანტიგენის, ასევე პსრ ტესტებით დაავადებათა კონტროლის მიერ მოწოდებული სქემის და მეთოდური ინტერესების, პროტოკოლის შესაბამისად.

ჯანდაცვის ცენტრი სწრაფი მარტივი ანტიგენის და პსრ ტესტებით უზრუნველყოფს ასევე ევექსის ხობის ჰოსპიტალს. ჩვენი ხელშოწყობით სწრაფი მარტივი ტესტირება დაიწყეს ახალი ხიბულის, ხამისქურის, თორსის, ხეთის, ჭალადიდის, პ/მაისის საექიმო ამბულატორიებმა, სწრაფი, მარტივი ტესტირება ტარდება ასევე სამედიცინო დაწესებულება „პულსში“.

მოსახლეობის საყოველთაო და მასშტაბურ ტესტირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაავადების დროულად გამოვლენისა და ინფიცირებულ პირთა მკურნალობაში დროულად ჩაბმისთვის, თვითიზოლაციაში დროულად გადასაყვანად და გავრცელების შემცირებისთვის.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჯანდაცვის ცენტრში, უკვე ყოველდღიურად 150-200 ადამიანს უტარდება ტესტირება, ხოლო გამოვლენილი კოვიდ-ინფიცირებულები, მათი ოჯახის წევრები და კონტაქტები დროულად გადაგვყავს თვითიზოლაციაში, თვითიზოლაციის წესების დაცვას კი მკაცრად აკონტროლებს ხობის მუნიციპალიტეტის პოლიციის სამმართველო, რომელსაც ყოველდღიურად ვაწოდებთ თვითიზოლაციაში მყოფი პირების სიას.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩვენს მოსახლეობას დაიცვან დაწესებული რეგულაციები და აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

სპორტი

6-8 აპრილი „სპორტის საერთაშორისო დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის“, ,,თეთრი ბარათი“ სპორტის პოზიტიური ძალის სამართლიანობისა და მშვიდობის სიმბოლო.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ, სპორტული კარიერების შესახებ, კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს წარმატებული ხობელი სპორტსმენების რეალური ისტორიები და აღნიშნეს, რომ სპორტი არის ჯანსაღი ცხოვრების წესი.

საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მცირე დარბაზში კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზდობის სამსახურის რეკომენდაციით (კოორდინატორი ნანა ბუკია) და კულტურის ცენტრის ჩართულობით ჩატარდა სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც მოწვეულები იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მოსაწავლეები, ახალგაზრდები, მოზარდები და სხვადასხვა ასაკის ადამიანები.

მიზანი: სპორტი შესანიშნავი იარაღია დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, პოზიტიური ღირებულებების გადაცემის, ინკლუზიური და მშვიდდობიანი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. ღონისძიებაზე შეკრებილებმა ისაუბრეს თავიანთი

შემდეგ ჩატარდა სხვადასხვა სპორტული აქტივობები მძლეოსნობასა და შაშში.

კულტურის სახლის მცირე დარბაზში თვითმმართველობის წარმომადგენლები სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შეხვდნენ და სპორტის საერთაშორისო დღე მიულოცეს.

ღონისძიებებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

12 აპრილს, ქალაქ ხობში, ანრი ჯგერენაიას სახელობის საფეხბურთო პირველობის ფინალური მატჩები გაიმართა. შეჯიბრებაში ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 16 გუნდი მონაწილეობდა. პირველობის გამარჯვებული ხეთის საჯარო სკოლის გუნდი გახდა, მეორე ადგილი ახალი ხიბულის №2 სკოლის, ხოლო მესამე ადგილი შუა ხორგის საჯარო სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა დაიკავეს.

სპორტულ ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

პირველ, მეორე და მესამე ადგილოსანი გუნდები თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სპორტული პირველობა ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

ერი, რომელიც სიმღერით შეხვდა მტერს

„დაუკარით, რომ ძველ
ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში
დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს
მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას
გაუმარჯოს!“

ერი, რომელიც სიმღერით შეხვდა მტერს არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას...

32 წელი გვაშორებს 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებიდან. ამ დღეს თბილისში, დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, თავისუფლებისთვის მებრძოლი მამულიშვილების უმანკო სისხლი დაიღვარა. ამას უკვალოდ არ

ჩაუვლია. 1990 წლის 31 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში და პირველად საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიის მანძილზე დაამარცხა ერ-

თადერთი ჰეგემონი–მმართველი კომუნისტური პარტია, ხოლო, მომდევნო წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმში სრულიად საქართველოს მრავალრიცხოვანმა მოსახლეობამ, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და აჭარის ავტონომიების ჩათვლით ხმა მისცა სსრკ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლას და დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგები 1991 წლის 9 აპრილს, საშინელი ტრაგედიიდან 2 წლის თავზე გამართულ უზენაესი საბჭოს სესიაზე გააჟღერა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

„აღსრულდა ნება ერისა, გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს“, რაც შემდგომში დიდმა მუხრან მაჭავარიანმა მხატვრულად გადმოსცა თავის ლექსში

„ერი გაზვიადდა
გაიტანა ლელო,
შვიდში ქრისტე იშვა,
ცხრაში–საქართველო“.

* * *

ამ დღეებში თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკაში (მენეჯერი ლუიზა ცანავა), გაიმართა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც მონაწილეობდნენ №2 საჯარო სკოლისა და სკოლა „არეას“ მოსწავლეები. წარმატებულმა მოსწავლემ ნიკოლოზ კორტავამ დიდი ოსტატობით, გულშიჩამწვდომად წაიკითხა ლექსი, მოსწავლეებმა წარმოთქვეს ამ დღისადმი მიძღვნილი სიტყვები, მათმა ემოციურმა გამოსვლებმა ჩვენს გულამდე მოაღწიეს და ცრემლებიც მოგვგვარეს.

ტკივილთან ერთად –დღესასწაული

ხობში 9 აპრილის დღესთან დაკავშირებით, სიმბოლურად ტიტებით შეამკეს 9 აპრილის ხეივანი საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ჩოხოსნებმა აღმართეს სამფეროვანი დროშა...

იყო სანთლები, ტკივილი, ცრემლები, ტიტები.

მამა კირიონმა დაღუპულთა სულების მოსახსენიელებელი პანაშვიდი გადაიხადა. ჩოხოსნებმა შეასრულეს საგალობელი.

ჩვენ უფლება არ გვაქვს, ეს დიდი დღე დავივიწყოთ, რადგან ტკივილთან ერთად ეს დღე დღესასწაულია,

მადლობა ყველას, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა (მძიმე პანემიისა), ვინც მუხლი მოიხარა და პატივი მიაგო დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

* * *

ღონისძიება ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის (დირექტორი კობა კობახიძე) ორგანიზებით მოეწყო. მასში მონაწილეობა მიიღეს, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ისტორიის წრის (ხელმძღვანელი ნინო გერგაია) მოსწავლეებმა, ანსამბლ „კოლხეთმა“ შეასრულა „შავლეგო“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ!“

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, რადგან ეს დღე ტკივილთან ერთად დღესასწაულია.

ნაირა ბერაია

აპრილის 14– დაუვიწყარი დღე

1978 წლის გაზაფხული იდგა, აპრილის 14. როგორც მახსოვს პარასკევი იყო, მზიანი ამინდი იდგა. ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ეზოში შევიკრიბეთ. აქციის ორგანიზატორები ძირითადად უნივერსიტეტის ყოფილი და მაშინდელი სტუდენტები იყვნენ. მახსოვს ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქციის სულისჩამდგმელი თამრიკო ჩხეიძე, რომელმაც დავიძარით თუ არა მთავრობის სახლისკენ, დაიწყო ირაკლი აბაშიძის შეუდარებული ლექსის „პალესტინა, პალესტინას“ წაკითხვა (ხმა კატამონთან, რომლის მსგავსი ქართული ენის შესახებ, არც მანამდე და არც შემდეგ არავის დაუწერია).

ქართულ, მოქმედ კონსტიტუციაში ენის სტატუსის შეცვლით გვემუქრებოდნენ, 1977 წლის ახალი კონსტიტუციით უნდა შეცვლილიყო 1936 წლის კონსტიტუცია. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ქართული ენა არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენა და ამ გეგმის პროექტი უნდა განეხილათ სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

ინფორმაციამ როგორც გაჟონა, ქართული ენა ჩვენს ტერიტორიაზე კარგავდა თავის სტატუსს, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში.

აქციის მონაწილეთა უმრავლესობა სტუდენტები და ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ...

მივემართებოდით ვაკიდან მთავრობის სახლისკენ, გზადაგზა გვიერთდებოდნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, ინტელიგენცია ტოვებდა სამსახურებს.

კარგად მახსოვს „იმელის“ შენობიდან როგორ გამოვიდნენ ფილოსოფიის ინსტიტუტის თვალცრემლიანი თანამშრომლები (მაშინ ეს ინსტიტუტი იქ იყო), რომელთაც მიუძღოდა ჩვენი ლექტორი პროფესორი თამაზ ბუაჩიძე.

საპროტესტო ტალღამ კულმინაციას შუადღისთვის მიაღწია. რუსთაველის პროსპექტი მომიტინგეებით იყო სავსე.

რუსთაველის თეატრთან გზა გადაგვიკეტეს, წინ წასვლის საშუალებას არ გვაძლევდნენ, ჩვენ კი ვცდილობდით როგორმე გავქცეოდით ძალოსნებს. ამ დროს, ერთმა ტანმაღალმა ძალოსანმა ფეხი დამიდო და გაზონებში გადავვარდი. შარვალი მუხლთან გამეხა, ამ დროს თავზე დამადგა და მომაძახა: ისე გარბიხარ, თითქოს სკოლაში ქართულს ხუთებზე სწავლობდიო, მოხუცი ქალბატონი გამომექომაგა. ამ დროს ინსტიტუტიდან მაშინდელი რექტორი ქალბატონი ეთერ გუგუშვილი გამოვიდა. მისი მეუღლე, ბატონი ბესო ჟღენტი ახალგარდაცვლილი იყო. დაწყნარდით, მომისმინეთ ბესოს სულს ვფიცავ ყველაფერს გეტყვით, რა ხდება მთავრობის სახლის წინ.

როგორც მან გვითხრა, თურმე მომიტინგეებსა და ძალოსნებს შორის უმნიშვნელო შეტაკება მომხდარა, ამ დროს გამოსულა მაშინდელი კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც ხალხს შეახსენა 1956 წლის 9 მარტი, რასაც მომიტინგეთა მხრიდან ნეგატიური შეძახილები მოყვა. „ჩემო ბავშვებო, რას აკეთებთ“ მიუმართავს ე. შევარდნაძეს შეკრებილებისთვის, რასაც სტუდენტების ყვირილი მოჰყოლია „ჩვენ შენი ბავშვები არა ვართ. ჩვენ მაშინაც ვიცავდით მშობლიურ ქართულ ენას, ქართულ სარწმუნოებასო“. ამის მერე შევარდნაძე, ისევ შებრუნებულა შენობაში.

რექტორიც ინსტიტუტის შენობაში შევიდა, როგორც კი ახალი ინფორმაცია იქნება შეგატყობინებთო.

კარგა ხანს გაურკვევლობაში ვიყავით. შემდეგ კი ქალბატონი ეთერი გახარებული ჩამოვიდა. ახლაც მეუღლის სულს იფიცებოდა, სახე გაბრწყინებოდა და მივხვდით ყველაფერი კარგად იყო. ახალი ინფორმაციით ქართული ენა სტატუსს ინარჩუნებდა. ჩვენ გავიმარჯვეთ...

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თამრიკო ჩხეიძის, ჯუმბერ კოპალიანის და კიდევ 40-50 ათასამდე გულანთებული მამულიშვილის დამსახურება და მე მიხარია, რომ მათ შორის მეც ვიყავი.

ახლა კი რა დღეში ვართ, ტელევიზიით ხშირად ვუყურებ ახალ შოუებს, „წიგნების თაროს“ და დასანანია, რომ მოსწავლეები და სტუდენტები ქართველ ავტორებს, მწერლებს არ იცნობენ. უცხოურს კი. ქართული ენა, რომლის დაცვაზე ქართველი ხალხი თავგანწირულად იბრძოდა, რა დღეშია.

1990 წელს, 1978 წლის 14 აპრილის უკვდავსაყოფად 14 აპრილი გამოცხადდა დედაენის დღედ, რომელსაც ქართველი ხალხი, საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი უდიდეს პატივს მივაგებთ.

გურამ კვიკვინია.

წარმატებული ხობელები

ლამაზი ცხოვრების თანაზიარი

მედიცინის დოქტორის, თეონა დარასელიას ბავშვობის ულამაზესმა წლებმა ხობში–პირველმაისში გაიარა მშობლებთან –თინათინ (ფისო) მიქელთაძესთან და ჯემალ დარასელიასთან, დაძმა–ხატია და დათოსთან ერთად. მას ბავშვობისას „თოჯინა“ შეარქვეს გამორჩეული სილამაზის გამო და ეს სახელი შემდგომ ზედსახელად ექცა...

თეონა 1967 წელის 20 დეკემბერს დაიბადა. 1985 წელს პირველი მაისის საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქ. კემეროვოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე. 1989 წელს სტუდენტი გოგონა ქალაქ სოხუმში ნაპო გაბელიას ცნობილი ოჯახის რძალი გახდა. მაშინ პაატა გაბელიაც სტუდენტი იყო. დაოჯახების შემდეგ თეონამ სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფალკულტეტზე დაასრულა. ცხოვრება ისევ ლამაზად, სიყვარულით, სწავლითა და მომავლის იმედით გაგრძელდა...

1987–1993 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის №4 სამშობიარო სახლის კლინიკურ ინტერნატურაში (1993-1994 წ.წ.). შემდეგ იყო ორდინატურა–ყორდანიას სახელობის რეპროდუქციის სასწავლო კვლევით ინსტიტუტში. 2001 წელს თეონა დარასელიას ცხოვრებაში იყო ეტაპი დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია. 2004–2006 წლებში სწავლობდა და დაამთავრა კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და მედიცინის დოქტორის ტიტული მიიღო.

მისთვის სწავლისადმი და სამედიცინო სფეროში სიახლეთა დაუფლებაში წარმატებათა მოპოვება გახდა მიზანმიმართული საქმიანობა.

წლების განმავლობაში მეცნიერი ქალბატონის ცხოვრებაში იყო მნიშვნელოვანი მომენტები, რომელიც სხვადასხვა კონფერენციებში, სემინარებში, კონგრესებში მონაწილეობით და სერთიფიკატების სიმრავლით აღინიშნა.

სახელმწიფო სერთიფიკატი „მეან-გინეკოლოგია“ (1999 წ.) საქართველოს რადიოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესი (ქ. თბილისი, 2003 წ.), რადიოლოგთა სემინარი (ავსტრია). ქ. გრაცი (2005 წ.). ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა საზოგადოების საერთაშორისო კონგრესი. (RSNA) ქ. ჩიკაგო (2006წ.); საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (ქ. ბათუმი)–„ახალი მიმართულებები რადიოლოგიასა და ინტერვენციულ მედიცინაში“ (2007წ.); საქართველოს რადიოლოგთა მესამე საერთაშორისო კონგრესი (ქ. თბილისი 2010 წ.); საქართველოს რადიოლოგთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესი მომხსენებელი (ქ. თბილისი 2016წ.); 2016 წელს ის ყაზახეთში, ქალაქ ასტანაში მონაწილეობს რადიომამოლოგების ევროპულ სკოლაში. საქართველოს რადიოლოგთა მესამე საერთაშორისო კონგრესი (ქ. თბილისი) „ონკოლოგიურ დაავადებათა რადიოლოგიური დიაგნოსტიკა თხემიდან ტერფამდე“; საქართველოს რადიოლოგთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესი (ქ. თბილისი (2019წ.).

თეონა დარასელიას სამუშაო გამოცდილება ასე გამოიყურება: იძულებით გადაადგილებულთა სამედიცინო დახმარების საზოგადოება „აფხაზეთი“–მეანგინეკოლოგი; სამშობიარო სახლი „ლაზარეთი“ (ქ. წნორი), რადიოლოგი, სამეანგინეკოლოგიური კლინიკა „გინეკა“–რადიოლოგი; 2006 წლიდან დღემდე მოღვაწეობს აკადემიკოს ფ.თოდუას სახელობის „კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“ რენტგენოდიაგნოსტიკის განყოფილებაში.

2020 წლიდან დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის–ქალთა რეპროდუქციული სისტემების, ძუძუს პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის აქტუალური საკითხებისა და საყრდენ მამოძრავებელი სისტემის რევმატიული დაავადებების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის დარგში წამყვანი რადიოლოგია.

გადის წლები, მეცნიერი ქალბატონის სამუშაო გრაფიკი უფრო და უფრო დატვირთულია. მის სამეცნიერო საქმეში ვხვდებით მრავალ მეცნიეულ ნაშრომს, როგორც კომპიუტერულ-ტომოგრაფიული ანგიოგრაფიის როლზე, ასევე რენდგენოლოგიის და რადიოლოგიის საქმეში.

ცნობილია, რომ თეონა დარასელია რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის სხვა მეცნიერებთან ერთადაც.

მისთვის სამეცნიერო მუშაობასთან ერთად უპირველესი ოჯახია. თეონას და პაატა გაბელიას ლამაზი და თბილი ოჯახი აქვთ. პაატა პროფესიით იურისტია. 20 წელი მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში პროკურორად და სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე. ამჟამად მუშაობს იურიდიულ კომპანია „სამართლის სახლში“ ადვოკატად.

ისინი ორი შვილის მშობლები გახლავთ. ქალიშვილი ქეთევან გაბელია პროფესიით იურისტი, სამართლის მაგისტრია, მუშაობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში. ჰყავს მეუღლე ვასილ ფოცხვერია, პროფესიით ექიმი-დოქტორანტი. ჰყავთ ორი შვილი ნინა და ლევან ფოცხვერიები.

ვაჟიშვილი–ნაპო გაბელია. ბიზნესის მართვისა და მენეჯმენტის მაგისტრი. მუშაობს კომპანია Ecohouse factory პროექტების მენეჯერის პოზიციაზე. ჰყავს შვილი ვაჩე გაბელია.

ბედნიერ დედას ბედნიერი შვილები და შვილიშვილები ჰყავს.

თეონა, ჩემო თანამემამულევ, მეამაყები. გისურვებ ახალ-ახალ წარმატებებს სამეცნიერო მუშაობაში ადამიანების კეთილდღეობისთვის. მსურს მუდამ ასე ლამაზი, თბილი და ტკბილი ცხოვრების თანაზიარი ყოფილიყო მეუღლესთან შვილებთან და შვილიშვილებთან.

ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით

ნანი კილასონია.

წარმატებული ხობელები

თანადგომა მისი ცხოვრების წესია

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი.

პაატა რეკვავა დაიბადა 1948 წლის 1 იანვარს ქ. ხობში, მოსამსახურის ოჯახში. დედა მერი ქიტიაშვილი რეკვავა–ექიმი გინეკოლოგი, მამა კუკური (აბესალომ) რეკვავა იურისტი და მშენებელი.

1965 წელს დაამთავრა ხობის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. 1971 წელს მოსკოვის ვ.ვ. კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი, ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით 1971-1972 წლებში მუშაობდა ინჟინრად სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის განყოფილებაში, რომლის ლიკვიდაციის შემდეგ 1972-1974 წლებში ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სისტემის საპროექტო ინსტიტუტში „საქსახპროექტში“, სადაც მის მიერ მომზადებულიქნა გაგრის რაიონის დ. ბზიფში სამრეწველო ობიექტის–სახლთმშენებლობის კომბინატის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

1974-1975 წლებში მუშაობდა საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემის №1 სამშენებლო ტრესტში ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც ახორციელებდა ტექნიკურ ზედამხედველობას მშენებარე ობიექტებზე ქ. თბილისის შემოგარენში.

1978 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ასპირანტურის სრული კურსი.

1979-1995 წლებში კი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ და უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე სეისმომედეგი კონსტრუქციების განყოფილებაში.

1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. შეთავსებით ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

კითხულობდა ლექციების კურსს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1987-1988 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტიდან მივლინებული იყო მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის პრობლემების ინსტიტიუტში, სადაც მუშაობდა სტაჟიორ-მკვლევარად.

1995-1996 წლებში ბატონი პაატა იყო ხობის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ლტოლვილთა რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

1996-2002 წლებში ის საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობის და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის აპარატის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. ბატონი პაატა 2002-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მოწვეულ სპეციალისტად, ხოლო შემდგომ ამავე კომიტეტის აპარატის უფროსის თანამდებობაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში სწავლულ მდივნად, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხებში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა 2004-2006 წლებში.

2005 წელს იყო საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის წევრი, სადაც მუშაობდა სამშენებლო კოდექსის კანონპროექტის შემუშავებაზე.

2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

2007 წელს არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

2007 წელს სსიპ კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ აირჩია და საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ დაინიშნა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე შემდეგ კი მუშაობდა ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სსიპ კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე.

2011 წლის 24 იანვრიდან დღემდე მუშაობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობაში: თავდაპირველად სამშენებლო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის თანამდებობაზე, 2016 წლიდან ინფრასტრუქტურის სამსახურის შენობა-ნაგებობების პროექტირების განყოფილების უფროსად, ხოლო 2018 წლიდან ხელმძღვანელობს ინფრასტრუქტურის სამსახურის შენობა-ნაგებობების მოწყობის განყოფილებას.

2005-2008 წლებში იყო დსთ-ს სამშენებლო საქმიანობაში თანამშრომლობის სამთავრობათა საბჭოს სეისმომედეგი მშენებლობის კომისიაში საქართველოს ეროვნული დელეგატი, სადაც სეისმური სტრატეგიისა და პოლიტიკის ერთიანი კონცეფციიდან გამომდინარე, მის მიერ მომზადდა დსთ-ში შემავალი ქვეყნების მთავრობებისადმი მიმართვა, სეისმურ რეგიონებში სეისმური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემასთან დაკავშირებით და დაყენებული იქნა საკითხი ადგილობრივი, რეგიონალური და მსოფლიო მნიშვნელობის ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და არქიტექტურულ-სამშენებლო ღირებულებების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების შესახებ შესაბამისი პროგრამის შემუშავების თაობაზე.

2009-2014 წლებში არჩეულ იქნა ა(ა)იპ სეისმომედეგი მშენებლობისა და საინჟინრო სეისმოლოგიის საქართველოს ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტად, ხოლო 2015 წლიდან დღემდე არის ამავე ასოციაციის დირექტორი. იგი 2009 წლიდან არის სეისმომედეგი მშენებლობის ევროპის ასოციაციის ეროვნული წევრი, ხოლო 2013 წლიდან სეისმომედეგი მშენებლობის საერთაშორისო ასოციაციის ეროვნული დელეგატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან მოქმედი „ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების“ შემსწავლელი კომისიის წევრი, შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საექსპერტო—საკონსულტაციო საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მშნებლობისა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების სფეროში სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ-5-ის წევრი, ხოლო 2017 წლიდან -ამავე კომიტეტის დაპროექტების ევროპული სტანდარტების ევროკოდების ეროვნული დანართების მომზადების სარედაქციო-ტექნიკური ჯგუფის წევრი.

2016 წელს მიიღეს განათლებისა და კვლევის მსოფლიო ასოციაციის ათენის განათლებისა და კვლევის ინსტიტუტის აკადემიურ წევრად. არჩეულია საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

2019 წელს აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, 2019 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის 2020წელს დაჯილდოვდა მე-3 ხარისხის მედლით, ხოლო მიმდინარე წელს მე-2 ხარისხის მედლით.

პაატა რეკვავა არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიისა და 3 გამოგონების ავტორი სეისმომედეგი მშენებლობის დარგში.

მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია და დაცულია რამდენიმე საკანდიდატო და აკადემიური დოქტორის დისერტაცია.

წლების მანძილზე სისტემატურად იღებდა მონაწილეობას რესპუბლიკური, საკავშირო, ევროპისა და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში სეისმომედეგი მშენებლობისა და საინჟინრო სეისმოლოგიის სფეროში.

არის არქიტექტურისა და სეისმომედეგი მშენებლობის სფეროში რამდენიმე სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის სამეცნიერო სარედაქციო რედკოლეგიის წევრი და რეცენზენტი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (აშშ, საბერძნეთი).

მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები დანერგილია როგორც სეისმომედეგი დაპროექტებისა და მშენებლობის პრაქტიკაში, ასევე შესაბამის ნორმატიულ ტექნიკურ დოკუმენტებში და საერთაშორისო სამეცნირო პროექტებში.

სსრკ-ს მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის“ სპეციალური საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს საქართველოს ფილიალში (1982წ., 1985წ.) და „თბილზნიეპში“ (1989წ.) მისი კვლევის შედეგები წარმატებით იქნა გამოყენებული შესაბამისად ექსპერიმენტული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების მსხვილპანელური შენობების (სერია 1.090-1-2ს) ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტების დამუშავებისა და სეისმომედეგობის დასაბუთების დროს.

კუჩერენკოს სახელობის სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალურმა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა (ქ. მოსკოვი) სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემის 0.74.03-„ შენობა-ნაგებობების და მათი ფუძეების და საძირკვლების სამეცნიერო საფუძვლების და დაპროექტების მეთოდების დამუშავება სეისმური რაიონებისათვის“ ფარგლებში საერთო საკავშირო ნორმატიული დოკუმენტის–„სეისმურ რაიონებში მშენებლობისათვის მსხვილპანელური შენობების დაპროექტების სახელმძღვანელო“-ს მე-4 დანართში შეიტანა მის მიერ დამუშავებული მეთოდი–„მსხვილპანელური შენობების გაანგარიშება სასრული ელემენტების მეთოდით“ (1981წ.).

კუჩერენკოს სახელობის სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალურმა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა (ქ. მოსკოვი) მსხვილპანელური შენობების სეისმურ ზემოქმედებაზე გაანგარიშების მის მიერ დამუშავებული მეთოდი შეიტანა საერთო საკავშირო ნორმატიულ დოკუმენტში „რეკომენდაციები შენობა და ნაგებობების როგორც სივრცული სისტემების გაანგარიშება სეისმურ ზემოქმედებაზე საინჟინრო სეისმომეტრული სადგურების ინსტრუმენტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მასალების და კონსტრუქციების რეალური თვისებების გათვალისწინებით“, ამავე ინსტიტუტის მიერ რუსეთის ფედერაციის ნორმების „მშენებლობა სეისმურ რაიონებში“ მომზადებისას გამოყენებულია მისი სადოქტორო დისერტაციის მასალები, საანგარიშო დატვირთვებისა და მსხვილპანელური შენობების სეისმომედეგობის კვლევების ინოვაციურ მეთოდებთან დაკავშირებით (1997წ).

მსხვილპანელური საცხოვრებელი შენობების სეისმურ ზემოქმედებაზე საიმედოობის შეფასების მის მიერ დამუშავებული მეთოდი შესულია რუსეთის ფედერაციის არქიტექტურულ-სამშენებლო ენციკლოპედიაში, ტომი X–„მშენებლობის უსაფრთხოება, შენობა-ნაგებობების საიმედოობა“, 2005წ.

სსიპ კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მუშობის პერიოდში პაატა რეკვავას გარკვეული წვლილი მიუძღვის სეისმომედეგი მშენებლობის ეროვნული ნორმების (ტექნიკური რეგლამენტის „სეისმომედეგი მშნებლობა“) პნ 01.01-09 მომზადებისა და მიღების საქმეში, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ არის დამტკიცებული.

მისი ინიციატივით სსიპ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ 2010 წლის 29 ივნისს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია და გარეკანის მეთოდით მიღებულია სტანდარტების ევროპული კომიტეტის სტანდარტი ენ „ანტი-სეისმური მოწყობილობები“, რაც საფუძველია შენობებსა და ხიდებში სეისმოიზოლაციური კონსტრუქციების დაპროექტებისათვის.

მას უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული სპიტაკის 1988 წლის მიწისძვრისაგან დაზიანებული შენობების ადგილზე შესწავლისა და ინჟინრული ანალიზის ჩატარებაში. ხელმძღვანელობდა ხაშურის რაიონში რაჭის 1991 წლის მიწისძვრისგან დაზიანებული შენობების საპროექტო-აღდგენით სამშენებლო სამუშოებს.

უშუალოდ მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოკვლეულია რაჭის 2006 და 2009 წლების მიწისძვრებისაგან ონის, ამბროლაურის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში 4500-მდე დაზიანებული სხვადასხვა კონსტრუქციული ტიპის შენობა-ნაგებობათა დაზიანების ხარისხი და ინჟინრული ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია აღდგენა გაძლერებისათვის საჭირო საპროექტო ღონისძიებები.

როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრს აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული თბილისის 2002 წლის მიწისძვრის მასალების განხილვაში და წიგნად გამოცემაში (2005წ.);

პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოს დედაქალაქსა და სხვადსხვა რეგიონში გამოკვლეულია 3000-მდე სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობისა და 129 საჯარო სკოლის ტექნიკური მდგომარეობა. გაცემულია შესაბამისი დასკვნა–რეკომენდაციები მათი სეისმომედეგობის ამაღლება-გაძლიერების პროექტების დამუშავებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვითი და ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმის მიხედვით მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დამუშვებულია სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ახალი მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და სარემონტო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია. მომზადებულია დასკვნები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები ინფრასტრუქტურაში არსებული შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის, საექსპლუატაციო ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესებისა და სეისმომედეგობის დონის ამაღლების შესახებ, შესაბამისი სარეაბილიტაციო საპროექტო ღონისძიებების დამუშავებით.

სანიმუშო, ხარისხიანი და კეთილსინდისიერი შრომითი საქმიანობისთვის სხვადსხვა ორგანიზაციებში მუშაობისას გამოცხადებული აქვს მადლობა.

2015 წლის 17 ივლისის საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, 2013-2014 წლების საინჟინრო მოღვაწეობის შედეგების მიხედვით, მიენიჭა წლის საუკეთესო ინჟინრის საპატიო წოდება.

მისი ბიოგრაფია შესულია საქართველოს ბიოგრაფიულ ლექსიკონში.

პაატა რეკვავას ჰყავს მეუღლე, ერთი შვილი, ორი შვილიშვილი.

მიუხედავად იმისა, ბატონი პაატა სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ახალგაზრდობიდანვე არ იყო განებივრებული თავისუფალი დროით, მას არასოდეს მიუტოვებია მისი მშობლიური ხობი და ხობელები. იგი მუდმივად არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, მეზობლებისა და მეგობრების ლხინისა და ჭირის მოზიარე, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება.

სიკეთის კეთება, მოყვასისადმი თანადგომა მისი ცხოვრების წესია.

წარმატებები საქმიანობაში, ჯანმრთელობა, დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვოთ ხობელთა (და არა მარტო) საიმედო და საამაყო პიროვნებას.

ლევან ღვინჯილიას ბლოგის მიხედვით მოამზადა მერი ლაგვილავამ.

შუა ხორგა ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფელია, რომელიც თავისი შრომისმოყვარე ადამიანებით ღირსეულ ფურცელს წერდა და წერს ხობის მუნიციპალიტეტის წარმატებებში.

თუ როგორ გაიზარდა და დამშვენდა სოფელი, რა სიახლეები განხორციელდა ბოლო წლებში, როგორ უმკლავდებოდა პანდემიას და მის წინაშე მდგარ ყოველგვარ გამოწვევებს, თავად სოფლის ხელმძღვანელმა, როგორი გზა განვლო ამ წლებში, რა გაკეთდა და კეთდება, მისი ხელმძღვანელობის წლებში. გვესაუბრება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი შუა ხორგაში ბატონი ***ვალერიან (მალხაზ) ქაცარავა.***

„ჩვენი სახე და სავიზიტო ბარათი“

–პირველ რიგში მოგესალმებით, მივესალმები გაზეთ „ხობის მოამბეს“ მკითხველებს. დამერწმუნეთ, ძალიან კარგი მედია-საშუალებაა საზოგადოებისთვის. მთელი გულით გისურვებთ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

–შუა ხორგა ადგილია, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ადგილი, რომელიც ყველაზე თბილ და ტკბილ მოგონებებთან, ბავშვობასთან, ყრმობასთან არის დაკავშირებული.

ახლა, როდესაც მოვინდომე სტატიის წერა სოფელზე, რომელიც ჩემი დიდი ოჯახია, უფრო და უფრო გამიმძაფრდა მოგონებები. გამახსენდა განვლილი და განცდილი წლები.

გონებაში წამოტივტივდა ჩემი და უფროსი თაობის ადამიანების სახეები. მარადისობაში გადასული სოფელის ღირსეული შვილები, რომელთაც „წარსული“ ჰქვია. აქაურმა მიწამ შვა გმირები, ზვიად დათუაშვილი–სოფლის ტკივილი და სიამაყე, რომელიც საქართველოს ერთიანობასა და თავისუფლებას შეეწირა. დიდება მის ხსოვნას.

ძნელია საკუთარ თავზე საუბარი. მითუმეტეს, დახასიათება მეუხერხულება, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ადამიანებისთვის არასოდეს მიღალატია, ყოველთვის გამაჩნდა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, მწამდა და მჯეროდა იმ საქმიანობისა, რომელსაც გულწრფელად ვაკეთებდი და ვცდილობდი ერთგულად მემსახურა ქვეყნისთვის.

ქართველი ერის მოჭირნახულე დიდი ილია ბრძანებდა: „თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, ყველაფერი ხარ. იმიტომ, რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგან უქმად ყოფნის ნებას სამართლიანობა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის რწყვით უნდა ყიდულობდეს თითოეულ თავის კერძს ცხოვრებისას, კეთილს მოქმედიც იქნები, რადგან ავკაცობის ხსენებას არ მოგვცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა, შეძლებისამებრ იღვაწე და აკეთე კეთილი საქმე, სხვა ამის მეტს არას თხოვს ქვეყანა თავის შვილს“.

ჩვენი ქვეყნის სულიერი მამის ეს სიტყვები მთელი ცხოვრება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი. სკოლის დამთავრების შემდეგ არაფერი მითაკილია მუშიდან დაწყებული, სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილებზე მიმუშავია.

2013 წლიდან ვარ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი. არ არის იოლი საქმე იყო თავკაცი, თანასოფლელებს სწამდეთ და სჯეროდეთ შენი.

შუა ხორგაში პატივმოყვარე, კაცთმოყვარე და მადლიანი ხალხი ცხოვრობს. გვერდით დგომაც კარგად იციან და დაფასებაც. გასაკეთებელსაც ხედავენ და გაკეთებულსაც.

მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ვითარების, უმძიმესი პანდემიისა, მოსახლეობის უმრავლესობამ შეძლო კიდევ ერთხელ გამოეცხადებინა ნდობა 2020 წ. 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნებისთვის“, ეს მხარდაჭერა ნიშნავს, სჯერათ, სწამთ და გენდობიან.

ხალხის სიყვარული ისე არ მოდის, მას მოპოვება უნდა. თამამად შემიძლია ვთქვა: „ქართულმა ოცნებამ“ ხალხის პატივისცემა დამსახურებულად მოიპოვა. ყველაზე დიდი სიმდიდრე თვით ხალხის მხარდაჭერაა. ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მოსახლეობის უმრავლესობის სახელით ვულოცავ საქართველოს პარლამენტის ხობის, ფოთის და სენაკის მაჟორიტარ წევრს ბატონ ირაკლი ხახუბიას და პარლამენტის წევრს ირაკლი (დაჩი) ბერაიას გამარჯვებას.

გთავაზობთ 2013–2020 წელს სოფელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას:

19-კილომეტრზე გაყვანილიქნა წყალსადენი მილები, მოსახლეობა უზრუნველყოფილიქნა სასმელი წყლით. განხორციელდა მშენებარე ეკლესიის, ადმინისტრაციული შენობისა და საბავშვო ბაღის ეზოების შემოკავება.

შემოკავდა სასაფლაოები, მოიხრეშა მისასვლელი გზა.

6 კილომეტრზე მოიხრეშა შიდა გზები. რესტავრაცია გაუკეთდა შინმოუსვლელთა ობელისკს.

კეთილმოეწყო ადმინისტრაციული შენობის ეზო.

რეკონსტრუქცია გაუკეთდა გამოღმა შუა ხორგის მინი სტადიონს.

დაიგო ხელოვნური საფარი. გაღმა შუა ხორგაში მოეწყო მინი სტადიონი.

რემონტი ჩაუტარდა სპორტული მოედნის გასახდელს, შეყვანილიქნა სასმელი წყალი.

განხორციელდა სახელმწიფო სანიაღვრე არხების ამოწმენდა 350 ჰექტარზე, ჩაიდო ხიდ-ბოგირები.

6,7 კილომეტრზე დაიგო ასფალტისა და ბეტონის გზა ხიდ-ბოგირებითა და სანიაღვრე არხებით.

მდინარე ციაზე აშენდა ახალი ხიდი.

მდინარე ხობისწყალზე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა არსებულ ხიდს.

4,5 კილომეტრზე მოეწყო გარე განათება.

სოციალურად დაუცველ სამ ოჯახს დაუფინანსდა საცხოვრებელი სახლის გადასახური მასალის საფასური.

შვიდ პიროვნებას დაუფინანსდა ოპერაციის დროს გადასახდელი თანხის 50%. 18 წლამდე ასაკის მოზარდებს (280-მდე) სახელმწიფომ გაუწია 200 ლარიანი დახმარება.

მიმდინარეობს და დასრულების პროცესშია ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, სადაც განთავსდება სამედიცინო ამბულატორია, საბავშვო ბაღი და ბიბლიოთეკა.

გაღმა შუა ხორგაში სალატარიოს უბანში 5 კილომეტრზე ამოწმენდილიქნა სახელმწიფო სანიაღვრე არხები. გაღმა შუა ხორგაში შარშან დაიწყო სალატარიოს უბნის გზის მოასფალტება, რომელიც წელს გაგრძელდება.

ზემოთ აღნიშნული პროექტების შესასრულებლად სულ დახარჯულიქნა 7, 980.0 (შვიდი მილიონ ცხრაასოთხმოცი) ათასი ლარი.

ასე მოვდივართ ერთად ჭირსა და ლხინში ერთმანეთის თანადგომითა და ადგილობრივი ხელისუფლების სრული მხარდაჭერით.

სოფელი სულ სხვაა. აქ სხვა სითბოა, სხვა სიყვარული, სხვა დაფასება. სოფელმა უზომო შეყვარება იცის, ხანდახან ისე მძაფრდება ეს სიყვარული, საკუთარ ოჯახსაც გავიწყებს და ყველაფერში ჭირსა თუ ლხინში ჭირისუფლად და პასუხისმგებლად გრძნობ თავს.

როგორც ყველა სოფელს, შუა ხორგასაც აქვს თავისი ბიოგრაფია. იგი წარსულის ბევრ ფურცელს შეიცავს, რომელიც შრომისმოყვარე და გამრჯე სიმამაცით, თავდადებით სავსე ხელებით იწერებოდა და იწერება დღესაც.

სოფელი ჩვენი სახე და სავიზიტო ბარათია. მას ახლებურად ვხატავთ,–გალამაზდა და დამშვენდა. საპროექტო სამუშაოები არ გაჩერებულა და დღემდე გრძელდება, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მოსახლეობა გაზიფიცირების მოლოდინშია.

ასევე მხარდამხარ მომყვებიან და სოფელს ღირსეულად ემსახურებიან სპეციალისტები ქალბატონები მაგული ცირდავა და მეტვარ ლატარია. ბიბლიოთეკარი ირმა მურღულია, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული ოჯახის ექიმი სოფიო მალანია, მედდა ქალბატონი ელისო დოლბაია, საჯარო სკოლის დირექტორი გულნარა ტაბაღუა პედკოლექტივით და საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტი ქალბატონი შორენა ესებუა, ბევრი მადლიერი ხალხი ჰყავთ სოფელში, აფასებენ და პატივის სცემენ მათ.

ჩემო თანასოფლელებო, მეგობრებო, ახლობლებო ყველას გულწრფელად გიხდით მადლობას ნდობისთვის, თანადგომისთვის, მხარდაჭერისთვის. მჯერა, მალე პანდემია გადაივლის და ყველაფერი კარგად იქნება, ისევ ძველებურად ვუმასპინძლებთ, მოვეფერებით და ჩავეხუტებით ერთმანეთს.

მოდის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული!

„ქრისტე აღსდგა!“ მისი მადლი არ მოგაკლოთ უფალმა თქვენ და სრულიად საქართველოს.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

წარმაჯებული ხობელები

დიმო ცხონდია

საბჭოთა სისტემის მიერ დევნილი ხიბულელი ექიმი



საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცეული, დიმიტრი (დიმო) ცხონდია იძულებით ემიგრაციაში ისე გარდაიცვალა, რომ სამშობლოში დაბრუნებაზე, სოფელში პატარა სახლზე და მთის მდინარეში ბანაობაზე ოცნებობდა, მაგრამ რეპრესიების ეშინოდა. რეპრესიების, რომელიც ბევრჯერ გამოიარა.

დიმო ცხონდიას შვილიშვილი ლირა არაჩემია გვიყვება, რომ ბაბუა არ იზიარებდა ბოლშევიკების იდეებს, რის გამოც გადაასახლეს სოლოვეცკის კუნძულებზე.

„ის იყო დედაჩემის, მარგო ცხონდიას მამა. დაიბადა 1903 წელს 15 აგვისტოს ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, შეძლებულ ოჯახში.

დედამისი ჯიშკარიანის ქალი იყო. მამამისი სოფელში ყველათვის პატივსაცემი კაცი იყო. ასეც ეძახდნენ. ირკოჩიშ მორდია, (ყველას ნათლია) რომელიც ასევე იმდროინდელი კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლი გახდა, დაიჭირეს და არავინ იცის, სად და რა ვითარებაში დაიღუპა. ბაბუა–დიმო ერთადერთი შვილი იყო. მან დაამთავრა ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლა, სწავლა გააგრძელა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. არ იზიარებდა კომუნისტების იდეებს. ჰქონია უშუალო კონფლიქტი ბერიასთან, თუმცა ზუსტად რა მოხდა, არ ვიცი“,–იხსენებს ლირა არაჩემია.

სოლოვეცკის საბჭოთა გულაგში ყოფნის პერიოდი რეპრესირებულმა მოგვიანებით მემუარებში აღწერა. ჩვენ მისი ნაწერების მხოლოდ რამდენიმე ფოტო ვნახეთ. დიმო ცხონდიას ნაამბობი ბოლშევიკური რეპრესიების შესახებ, აღწერილი აქვს ასევე, ცნობილ რეჟისორს, მის მეგობარს გია დანელიას წიგნში „სადღეღამისო სადღეგრძელოები“:

„გადაარჩინა იმან, რომ ექიმი იყო და სამუშაოდ სამხედრო ნაწილში აიყვანეს. ნემსებს უკეთებდა ბანაკის უფროსს და მის ცოლს. ისინი ნარკომანები იყვნენ. ერთხელაც მორფინის მარაგი დამთავრდა და ის ორ თანმხლებ პირთან ერთად არხანგელსკში გაუშვეს ჩამოსატანად, საიდანაც გაიქცა, თბილისამდე ჩავიდა, რათა იქიდან თურქეთში გადასულიყო. თუმცა წასვლის წინ ოჯახის ნახვა გადაწყვიტა. ამ დროს ოჯახი სოფელში ცხოვრობდა. სახლში რომ მივიდა, დააპატიმრეს. სოფელში საპატიმრო არ იყო, ფარდულში ჩაამწყვდიეს, რომელიც მავთულით გააღო და გაიქცა, თუმცა გზაში სკოლის მასწავლებელი შეხვდა, რომელსაც მისი ნახვა გაუხარდა. მოუყვა, რომ სკოლაში ღონისძიება უნდა ჩაეტარებინა და რჩევა ჰკითხა. დიმოს მოერიდა და არ შეაწყვეტინა საუბარი, იდგა და უსმენდა ბერიაზე ლექსებს, ამასობაში კი დაიჭირეს“,–წერს გია დანელია.

საბოლოოდ, როგორც მისი შვილიშვილი ამბობს, საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკის ტყვემ გაქცევა მოახერხა.

„გაიქცა და გადავიდა თურქეთში მსახიობ გურამ საღარაძის ბიძაშვილ ლევიკო საღარაძესთან ერთად. შემდეგ სირიაში აღმოჩნდა, სადაც შეხვდა უკრაინელ ქალს, რომელიც ცოლად შეირთო. ლევიკომ კი ამ ქალის შვილი შეირთო ცოლად და კარგა ხანს ცხოვრობდნენ სირიაში. ბაბუა გადავიდა ჯერ საფრანგეთში, სადაც სწავლა გააგრძელა სამედიცინო მიმართულებით. მსახურობდა დე გოლის არმიაში, შემდეგ კი ამერიკაში დასახლდა.

ცხოვრობდა სან ფრანცისკოსთან პატარა ქალაქ სანტა როზაში. ეყოლა შვილი ვოვა, ვლადიმერ ცხონდია, რომელიც ასევე ექიმი იყო, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. ბაბუას კი ჰქონდა პატარა კლინიკა, რომელიც ერთგვარი ხანდაზმულთა სახლი იყო. მასთან ამერიკაში ძალიან ბევრი ცნობილი ქართველია სტუმრად ნამყოფი“,–ამბობს ლირა არაჩემია.

ემიგრაციაში ყოფნისას მას საქართველოში დარჩენილი ოჯახის შესახებ ცნობები არ ჰქონდა. არ იცოდა, რომ კომუნისტებმა საქართველოში დარჩენილი დედა, ცოლი და ვაჟი გადაასახლეს.

„ყაზახეთში გადაასახლეს დიმოს დედა, მადიკო ჯიშკარიანი, რომელსაც სოფლის საბჭოს შენობასთან დაუწყევლია სტალინი. იმ დროს მოვესწრო, რომ სახელი დაგეკარგოსო. ის გადასახლებაში გარდაიცვალა. მასთან ერთად გადასახლებულები იყვნენ დიმოს ცოლი გოგუცა ყურაშვილი და შვილი, ჩემი ბიძა იური ცხონდია. დედა მაშინ საქართველოში არ იმყოფებოდა და ამიტომ გადარჩა“,–იხსენებს ლირა არაჩემია.

სტალინის სიკვდილის შემდეგ დიმოს ცოლ-შვილი დაბრუნდა. მათ შესახებ დიმომ მხოლოდ 60-იან წლებში შეიტყო. როგორც გია დანელია წერს, ემიგრაციაში მისი გავლენიანი მეგობრების დახმარებით შეძლო შვილის ამერიკაში მოწვევა.

„ბიძაჩემმა მოახერხა ამერიკაში წასვლა. მამა-შვილმა 40 წლის შემდეგ ნახა ერთმანეთი. შემდეგ დიმო თავად ჩამოვიდა საქართველოში. სოხუმის აეროპორტში მიწას კოცნიდა. რომ წავიდა, დედა 3 წლის დატოვა და რომ ჩამოვიდა, მე უკვე 20 წლის დავხვდი. მოიარა მთელი სოფელი. დიდი სუფრა გაუშალეს. მართალია უკან დაყვებოდა უშიშროების ხალხი, მაგრამ ჩვენი შეხვედრა დიდი ბედნიერება იყო“,–ამბობს შვილიშვილი.

ამის შემდეგ დიმო საქართველოში კიდევ ერთხელ ჩამოვიდა. გია დანელია მას ერთ-ერთ სასტუმროში შეხვდა. როგორც წიგნში წერს, მისი მეგობარი ავად ყოფილა. დიმოს მისთვის სამშობლოში დაბრუნების ოცნება გაუნდვია და უკითხავს:

„მინდა ამერიკაში კოტეჯი გავყიდო და საქართველოში გადმოვიდე, დარჩენილი ცხოვრება სამშობლოში გავატარო. ყველა ერთად ვიცხოვრებთ, საღამოობით ლოტოს ვითამაშებთ, დილით მდინარეზე ვიბანავებთ, ისე, როგორც ბავშვობაში, მაგრამ სულ ვფიქრობ, ისევ რომ მოუნდეთ ჩემი დაჭერა? თუ დევნის მანია მაქვს? რას ფიქრობ?

-რა უნდა მეპასუხა. მაშინ არავინ იცოდა, რა იქნებოდა ხვალ. ვუპასუხე, რომ არ ვიცი. მან ამოიოხრა, ორი აბი ასპირინი მიიღო, ცხელი ჩაი დავალევინე ლიმნით და საბანი გადავაფარე, ჩაეძინა.

ოთახში იწვა საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული პატიმარი, დე გოლის არმიის პოლკოვნიკი, სან-ფრანცისკოს ხანდაზმულთა სახლის დირექტორი, ექიმი დიმო ცხონდია, რომელიც მთის მდინარეში ბანაობაზე ოცნებობდა, მაგრამ ეშინოდა, რომ ისევ დაიჭერდნენ, დილით აეროპორტში გავაცილე და მას შემდეგ არ მინახავს“,–წერს გია დანელია.

დიმო ცხონდია გარდაიცვალა 77 წლის ასაკში. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე, შვილთან ვოვა ცხონდიასთან ერთად.

ლევან ღვინჯილიას ბლოგიდან

სულთათანა

როდინა ჟვანია

ბაბუ, გილოცავ დაბადების დღეს–1 აპრილს დღეს, 80 წელი შეგისრულდებოდა. 2009 წლის 23 თებერვალს წახვედი ამ ქვეყნიდან უეცრად, უჩუმრად და დიდი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვე.

„ბაბუ“ ასე მოგმართავდით და ამაში დიდ სითბოს და სიყვარულს ვაქსოვდით, რამეთუ თქვენ თავად აფრქვევდით უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას.

სიკეთით, სიყვარულით, კაცურ კაცობით იყავით აღსავსე. სხვისთვის ზრუნვა და დახმარება თქვენი გამორჩეული თვისება იყო. გარშემომყოფთა წარმატებასა და სიხარულს პირად ბედნიერებად მიიჩნევდით, მთელი ცხოვრება სხვათა მიმართ ზრუნვის ნათელ მაგალითს იძლეოდით.

არადა დღეს როგორ სჭირდება თქვენნაირი ადამიანები ჩვენს სამშობლოს.

ბაბუ, ხშირად გიხსენებთ და ვცდილობთ თქვენეული სიმშვიდით, უხმაუროდ, სისპეტაკით, კარგი ადამიანური თვისებებით გავაგრძელოთ ცხოვრების გზა, აკი თქვენც ხომ ასე გვმოძღვრავდით.

კიდევ ერთხელ გილოცავ 80 წლის იუბილეს. ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა თქვენს უსაყვარლეს მეუღლე ნატრულისთან ერთად.

დინა ჯანჯღავა

გულადი ქურიძე



საუბედუროდ ადამიანის ცხოვრებაში დგება წუთები, როცა სიტყვა ძალას კარგავს, ცრემლი ყელში გებჯინება და უსაშველოდ გიჭირს ხმის ამოღება...

ახლობელი ადამიანის ამქვეყნიდან გარიდებისას თვალწინ იცვლება კადრები ერთად გატარებული დღეების ათვლით და კიდევ ერთხელ ფიქრდები წუთისოფლის ამაოებაზე, კანონზომიერებასა და უაზრო ტკივილზე...

40 დღე გავიდა, რაც ჩემი ბავშვობის და სიყრმის მეგობარი, გულადი ქურიძე გარდაიცვალა, განერიდა წუთისოფელს, რომელმაც არაერთი ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი განაცდევინა, უიღბლობამ ვერ გატეხა, სიცოცხლის წყურვილი ვერ მოუკლა.

ვინც მას იცნობდა, ყველა იხსენებდა, კეთილ, კარგი ქართულით მოუბარ, ათლეტური აღნაგობის, კეთილშობილ პიროვნებას.

დასანანია, რომ თავის კუთხეზე შეყვარებული, უღალატო კაცი ადრე გამოაკლდა სოფელ ჭალადიდს, ჩემს სამეგობროს...

ვუსამძიმრებ მის სათაყვანებელ ოჯახს, საახლობლოს, თავს იმით ვინუგეშებ, რომ ადრე თუ გვიან ამ მარადიული გზის გავლა ყველას მოგვიწევს.

მშვიდობით გულად, ნათელში იყავ.

ანგული მიქავა.

ფრთოსანს დაემგვანა...

ინდირა კანკიას ხსოვნა

გაშალა ფრთები და წავიდა... წავიდა ოღონდ ხორციელად, სულიერად კი ჩვენთანაა. იმ ადამიანებთან, ვისაც ძალიან უყვარდა, დედასთან, მამასთან, ძმასთან და მეგობრებთან... და ჩემთან... ჰო, ჩემთან–ფიქრებში, გონებაში.

მოგონებებში ისევ რჩება, მიუხედავად იმისა, რომ წლები გავიდა. გავიდა რამდენიმე გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

თავდაპირველად მეგონა რომ ეს დაუჯერებელი დღეები არ იყო რეალობა, მერე კი ერთი წელი, ორი, ათი, ოცი, ოცდაშვიდი წელი იწურება დაუჯერებელი რეალობის... და დარჩი ჩემს დღიურში, ფოტოებზე... „როცა მე გარდავიცვალე, იდგა აღდგომის სწორიო“–მოგიყვანია ნიშნიანიძის ლექსიდან ჩანაწერებში...

მე კი გეტყვი, რომ უკვე ოცდაშვიდი წელია შენს საფლავთან ვარდებით მივდივარ აღდგომას და არც წელს იქნება გამონაკლისი.

მარადიული ხსოვნა შენს სულს, პატარა მეგობარო!

...გაშალე ფრთები და წახვედი, მაგრამ მე არ გტოვებ, ვიცი, შენც მელი საფლავის წინ ნაღვლიანს.

ამ აღდგომასაც ისევ შენთან მოვდივარ, ფრთოსანო!

თეა ბერაია.

სპორტის საერთაშორისო დღე

რატომ გვიყვარს სპორტი

სპორტი ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია, ფიზიკური აღზრდის მეთოდი და საშუალება და მას ხანგრძლივი ისტორია აქვს. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ვითარდებოდა სპორტი და ის ყოველთვის ითვლებოდა სახელმწიფოსთვის და მმართველი ძალისთვის აგიტაციისა და პროპაგანდის მძლავრ იარაღად, წარმატების უწყვეტ წყაროდ ქვეყნის ატრიბუტად.

ამასთანავე ფიზიკურად ძლიერი აღნაგობის მქონე სახელმოხვეჭილი ათლეტები ნებისმიერ ეპოქაში და სხვადასხვა სისტემების მმართველობის პირობებშიც ერის სათაყვანებელ და გამორჩეულ პიროვნებებად ითვლებოდნენ. მათ გამარჯვებებს ტაშს უკრავდა ათენი და რომი, პარიზი და ბერლინი, მიესალმებოდა ერი და ბერი, მეფე თუ ფარაონი, სხვადასხვა კანის ფერის და რასის წარმომავლობის მქონე საზოგადოება.

ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იმართებოდა ოლიმპიადები, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ არამარტო ჩვეულებრივი მოქალაქეები, არამედ სამეფო ოჯახის წევრები, დოდგვაროვნები, გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, ხელოვანები და ა.შ. ძველ საბერძნეთში გამარჯვებულებს დაფნის გვირგვინით ამკობდნენ, რაც ტრადიციად ჩამოყალიბდა და დღემდე გრძელდება.

მასობრივ-სპორტულმა ღონისძიებებმა უდიდესი როლი შეასრულეს სხვადასხვა პოლიტიკური სტატუსის მქონე დიდ თუ მცირე სახელმწიფოთა მომავალში. როდესაც შეჯიბრებები იმართებოდა. წყდებოდა ომები, რიგდებოდნენ დაპირისპირებული მხარეები, იდებოდა ზავი. სპორტს ყოველთვის მოჰქონდა მშვიდობა და სიხარული. დღესაც კი თანამედროვე ცივილიზაციის სამყაროში სპორტი არის მშვიდობის მძლავრი დესპანი, ურთიერთგაგების და პატივისცემის ნიშანსვეტი, ერის დიდების და უკვდავების ჭეშმარიტი სახე.

სპორტის განვითარება სხვადასხვა ეტაპზე უმნიშვნელოვანესი რამ იყო, როდესაც ოლიმპიადადებზე საასპარეზოდ მამაკაცებთან ერთად სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩაებნენ მანდილოსნები. ე.წ. გენდერული თანასწორობის აღიარებამ სულ სხვა ხიბლი მისცა სპორტის სხვადასხვა სახეობებს, განსაკუთრებით ეს ითქმის მძლეოსნობაზე, ცურვაზე, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშზე, ფრენბურთზე, კალათბურთზე, სადაც ქალური სილამაზის და ბუნების ბევრი ელემენტია ერთმანეთში შერწყმული.

ქართული სპორტის ისტორიას ხანგრძლივი და სახელოვანი წარსული გააჩნია, ის ჩვენი ერის ძლიერების ქვაკუთხედია და მას მსოფლიო სპორტის საგანძურში ღირსეული და გამორჩეული ადგილი უკავია. ბევრ ჩვენზე ათჯერ

და ხშირად 100-ჯერ დიდ ქვეყნებს არ ჰყავთ ამდენი ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, როგორც პატარა საქართველოს.

და ეს ყველაფერი სათავეს ჩვენი მირონცხებული მეფეების გმირული წარსულიდან იღებს. ფარსმან ქველი, რომელსაც რომში ძეგლი დაუდგეს. საქართველოს გამქრისტიანებელი მირიან მეფე, საოცარი ფიზიკური ძალით და აღნაგობით გამორჩეული ვახტანგ გორგასალი, დიდი მეფე დავით აღმაშენებელი. უებარი მეომარი ერეკლე მეორე და სხვებიც თვით მოუძღვოდნენ ლაშქარს და პირადი თავდადებით მაგალითს უჩვენებდნენ თავიანთ მეომრებს, რათა მათზე მრავალრიცხოვან მტერ-დუშმანს გამკლავებოდნენ. სპორტი დიდ პატივში გახლავთ ძველ იბერიაში და კოლხეთში. გავიხსენოთ ჩვენი სახელოვანი აიეტი, ქუჯი, გუბაზ მეფე, გმირი ცოტნე დადიანი.

ქართული ლაშქარში დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ ვარჯიშებს. მეომრებში ბავშვობიდანვე ინერგებოდა ჭიდაობა, ძალოსნობა, სროლა, ფარიკაობა.

გადავშალოთ ვეფხისტყაოსანი და მოვუხმოთ შოთა რუსთაველს „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“ ან „ნარდი ბედია, ჭადრაკი ჭკუა“–გვასწავლის შოთა.

როდესაც ლაპარაკია სპორტზე, ვგულისხმობთ ბრძოლას, ჟინს, აზარტს, გამარჯვებას და გვაგონდება ჩვენი დიდი კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც უცხოეთში სწავლის პერიოდში თავისთავს ამხნევებდა. „ეი, შენ ბაშის წყლის ნაპირიდან წამოსულო ბიჭო, არ გაჯობონ რაინის, თემზის, სენის დიდი მდინარეების შვილებმა“.

1992 წლიდან კი საქართველო უკვე საკუთარი დროშით და ჰიმნით ამაყად და წარმატებით მოაბიჯებს და მსოფლიო სპორტული ოჯახის ღირსეული წევრია. თავისი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენს ქვეყანას ჰყავს უამრავი ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

და რაოდენ ბედნიერნი ვართ, რომ მათ გვერდში თავს იწონებენ ჩვენი მშობლიური ხობის სახელგანთქმული სპორტსმენები. 2016 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონების მრავალგზის პრიზიორი მანუჩარ ცხადაია. პირველი მსოფლიო ჩემპიონი სამეგრელო-ზემო სვანეთის ჭიდაობის ისტორიაში უნიკალური ნუგზარ წურწუმია, ქართული ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მომავალი დიდი ტალანტი და ვარსკვლავი მსოფლიო ჩემპიონი კადეტებში ჯონი ხეცურიანი ყველა დროის უძლიერესი ქართველი მკლავჭიდელი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი აბსოლუტური წონით კატეგორიაში გენადი კვიკვინია. სამბისტი მერაბ ლაგვილავა, მოჭადრაკეები ზურაბ ტყებუჩავა, დიანა ლომაია, ფეხბურთელები დემურ ვეკუა, ავთანდილ ქანთარია, ენუქი თევზაძე, ედიკ საჯაია. მოკრივეები ქაჯაია და ჩიქოვანი. მაპატიონ სხვებმა, რომლებიც ვიცი, გამომრჩა ამ ვარსკვლავების ფონზე, ვინაიდან თამასა მაღალ სიმაღლემდეა აწეული და პატივი მხოლოდ ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის, საკავშირო ჩემპიონების გამარჯვებულებს და პრიზიორებს ერგოთ, რომელთაც ჩვენს პატარა რეგიონს შორის გაუთქვეს სახელი. ხობი ეს პატარა წერტილია მსოფლიო რუკაზე თავისი მიღწევებით პრეცედენტია სპორტულ სამყაროში თუ გავითვალისწინებთ მისი ტერიტორიის მოცულობას და მოსახლეობას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას თავისი სპორტული შედეგებით ერთ სულ მოსახლეზე დედამიწის ზურგზე ბადალი არ ჰყავს. ბევრ ქვაყანასაც უსწრებს და გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი.

უპირველეს ყოვლისა მადლობელი ვარ უფლის, ჩემი საყვარელი ხობელების, რომ მომცეს ძალა და უნარი გავძღოლოდი ჩემს საყვარელ საქმიანობას ჭადრაკში, რომელსაც ბავშვობიდან ვეუფლები. ჩემს გვერდით ყოველთვის იდგა ჩემი შესანიშნავი კოლექტივი, მოსწავლეთა სახლი და სპორტული სკოლა, სადაც მე 21 წლის ასაკში მივედი და სითბო, სიყვარული ვიგრძენი იქ მომუშავე თითოეული წევრისგან, დაწყებული ხელმძღვანელობით. სწორედ ისინი მაძლევდნენ სტიმულს და გვერდში მედგნენ, რომ წარმატებისთვის მიმეღწია.

განსაკუთრებით მადლიერი ვარ ჩემი მეგობრების, კოლეგების, სპორტის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს.

მეამაყება, რომ იმ სახელოვანი ხობის სასპორტო სკოლის წევრი ვარ, სადაც მოღვაწეობდნენ, რესპუბლიკაში განთქმული საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები, სპორტული მოღვაწეები და ახალგაზრდა პერსპექტიული მწვრთნელები.

სახელმწიფომაც ღირსეულად დააფასა ჩემი მოკრძალებული წვლილი ჭადრაკის განვითარებაში. ამის დასტურია ჩემთვის ძვირფასი, ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება, ვარ ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ფიდეს PRO მწვრთნელი და არბრიტი. 4-ჯერ დამასახელეს სამეგრელო-ზემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაციის №1 მწვრთნელად.

და ბოლოს, ყველაფერი ეს არ იქნებოდა, ჩემთან ერთად, რომ არ ყოფილიყვნენ ჩემი უსაყვარლესი აღსაზრდელები: ზურაბ ტყებუჩავა, ლაშა გერგაია, ლაშა შამათავა, ამირან შონია, გიორგი ლატარია, ლუკა შამუგია, დღევანდელი ქართული ჭადრაკის უპირველესი ვარსკვლავი და მომავალი–დიანა ლომაია, და-ძმა თეიმურაზ და ანა კვიკვინიები, ტყუპი დები მარიამ და მეგი ჭაჭიები, ნიკა ბუკია, ლიკა ჭანტურია, მარიამ ლაგვილავა, გიორგი იოსავა, რომელთაც თავდაუზოგავი შრომით შექმნეს ხობის საჭადრაკო სკოლა და შორს გაითქვეს სახელი.

და დღეს, როდესაც საზეიმოდ აღვნიშნავთ სპორტის საერთაშორისო დღეს, ისმის რიტორიკული კითხვა, რატომ გვიყვარს სპორტი? რას გვაძლევს ის? ვპასუხობთ: ეს არის თავისებური ადრენალინი, ადამიანის საზოგადოებაში დამკვიდრების საუკეთესო საშუალება, რათა გახდეს იმ საზოგადოების ღირსეული წევრი, სადაც მოღვაწეობს, რომ ემსახუროს და ასახელოს თავისი სამშობლო და აღზარდოს ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, ჯანმრთელი, საღი, ნიჭიერი მომავალი თაობა, რომელიც აიტაცებს თავისი სახელოვანი წინაპების ესტაფეტას და კიდევ უფრო შორს და წინ წავა.

აი, ეს არის ნამდვილად მორგებული გასაღები ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. აი, ჩვენ ამიტომაც გვიყვარს სპორტი.

ირაკლი გეთია,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.